საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/111

ქ. ბათუმი 03 სექტემბერი, 2020 წ.

„2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აბიტურიენტების ბსუ-ში ჩარიცხვისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 27 აგვისტოს №01-02/107 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის“, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს, ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის'', ,,ბსუ-ს 2020 -2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 06 აგვისტოს №06-01/44 დადგენილების, ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის 2020 წლის 25 აგვისტოს MES 8 20 0000723892 მოხსენებითი ბარათის, ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 14 აგვისტოს N01-02/100 ბრძანების, „ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID 19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის N286 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 აგვისტოს N536 დადგენილებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სოციალურად დაუცველი სტუდენტების სწავლის საფასურის დასაფინანსებლად სოციალური დახმარებით უზრუნველყოფის წესი და პირობების (შემდგომში - წესი), საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის 3 სექტემბრის MES 2 20 0000769517 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. **„2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აბიტურიენტების ბსუ-ში ჩარიცხვისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“** ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 27 აგვისტოს №01-02/107 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, 1.3. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.3. ბსუ-ში სწავლის უფლების მქონე პირი **(პირველსემესტრელი)** ვალდებულია გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია - გადაიხადოს პირველი სემესტრის სწავლის საფასური (შესაძლებელია ეტაპობრივად გადახდა, მაგრამ ხელშეკრულების გაფორმებისთანავე: **არანაკლებ 800 ლარისა** - იმ პირის მიერ, ვისაც არა აქვს მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტი ან სახელმწიფო პროგრამული დაფინანსებით სწავლის უფლება; **არანაკლებ 340 ლარისა** - იმ პირის მიერ, ვისაც მოპოვებული აქვს **50%-იანი** სასწავლო გრანტი; **არანაკლებ 200 ლარისა** - იმ პირის მიერ, ვისაც მოპოვებული აქვს **70%-იანი** სასწავლო გრანტი).

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 აგვისტოს №536 დადგენილებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სოციალურად დაუცველი სტუდენტების სწავლის საფასურის დასაფინანსებლად სოციალური დახმარებით უზრუნველყოფის წესი და პირობები"-ს და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 3 სექტემბრის MES 2 20 0000769517 წერილით წარმოდგენილი განმარტების თანახმად, **სოციალური დახმარებით (2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სწავლის საფასურის დაფინანსება) შეუძლიათ ისარგებლონ** ბსუ-ში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულმა აბიტურიენტებმა, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში" და რომელთა მინიჭებული სარეიტინგო ქულა 2020 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით ტოლია ან ნაკლებია 150 000-ზე. **აბიტურიენტები უფლებამოსილნი არიან, ნაცვლად სწავლის საფასურის გადახდის ქვითრისა, წარმოადგინონ ამის დამადასტურებელი ცნობა, გაცემული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოციალური მომსახურების სააგენტოდან.**

(შენიშვნა: სოციალურად დაუცველ აბიტურიენტს, რომელსაც ზემოაღნიშნული წესის საფუძველზე დაუფინანსდება 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სწავლის საფასური, სახელმწიფო სასწავლო/სასწავლო სამაგისტრო გრანტის ან სხვა სახელმწიფო დაფინანსების პროგრამის ფარგლებში მოპოვებული საგრანტო/პროგრამული დაფინანსება 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ჩაეთვლება გამოყენებულად, კანონმდებლობით დადგენილი წესით."

2. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და ფაკულტეტებს, ასევე გაცნობის მიზნით განთავსდეს ბსუ-ს საინფორმაციო დაფებზე და ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**